

ოქმის შევსება >> 1. ზოგადი

1.0 ოქმის ბლანკი გადაკეცილი "ა4" ზომის [თაბახის] ფურცელია – მოიცავს წიგნის ზომის 4 გვერდს

1.1 ბლანკი ორნაირია – კაცთა და ჭაბუკთა



**საქართველოს
რაგბის კავშირი**

თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 11, 11-ე კმ. 0179
ტელ 220 45 35 / 65, ფაქსი 220 45 95, ელფოსტა siebi@rugby.ge

კაცთა თამაშის ოქმი №

შეჯიბრი გზა
 დღე რიცხვი თვე წელი
 ქალაქი სტადიონი
 დრო ამინდი მოედანი

მასპინძელი სტუმარი

.....

	ქულა	
.....	ხელმოწერა	

ფუნქცია	სახელი	გვარი	ხელმოწერა
მსაჯი	-	-	-
კიდის მსაჯი	-	-	-
კიდის მსაჯი	-	-	-
ეტიმი	-	-	-
მეთვალყურე	-	-	-



**საქართველოს
რაგბის კავშირი**

თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 11, 11-ე კმ. 0179
ტელ 220 45 35 / 65, ფაქსი 220 45 95, ელფოსტა siebi@rugby.ge

ჭაბუკთა თამაშის ოქმი №

შეჯიბრი გზა
 დღე რიცხვი თვე წელი
 ქალაქი სტადიონი
 დრო ამინდი მოედანი

მასპინძელი სტუმარი

.....

	ქულა	
.....	ხელმოწერა	

ფუნქცია	სახელი	გვარი	ხელმოწერა
მსაჯი	-	-	-
კიდის მსაჯი	-	-	-
კიდის მსაჯი	-	-	-
ეტიმი	-	-	-
მეთვალყურე	-	-	-

1.1.0 დიდ 10-ში ოქმი მდივნის მიერ ივსება კომპიუტერით და ნეთში ცოცხლად გადის – მეთვალყურე ამის ნაცვლად პატაქს'და ავსებს

1.1.1 კაცთა ბლანკი გამოიყენება დუბლებში, პირველსა და რეგიონულ ლიგებში – ამათი სამატჩო რაზმი 23-კაცაა

1.1.2 ჭაბუკთა ბლანკი გამოიყენება "ა" და "ბ" ლიგებში – აქ რაზმი 26-კაცაა, მაგრამ თამაშში მონაწილეობს მაქსიმუმ 23 ჭაბუკი

1.2 ორივე ბლანკის – და ამ ინსტრუქციისა – ამოსაბეჭდად ჩამოტვირთვა შეიძლება კავშირის სტატ'სამსახურის საიტიდან <http://vue.ge/SMART.htm>

1.2.1 ბლანკების მარაგის მოთხოვნა შესაძლებელია პირდაპირ სტატ'სამსახურშიც:

1.2.1.1 მეილით siebi@rugby.ge ან

1.2.1.2 მობილურით **595 33 94 91**

1.3 ოქმის სუფთა – და არა უხარისხო | დაქსეროქსებული – ბლანკი ივსება

1.3.1 სტადიონზე – და არა შინ!

1.3.2 გარკვევით – და არა გაკრული ხელით!

1.3.3 შავი კალმით [მელნით | პასტით] – და არა ლურჯით | მწვანით | წითლით!

1.4 სტადიონზე შევსებული ოქმის დედანი – და არა შინ გადათეთრებული ასლი – საშეჯიბროსა და სტატ'სამსახურს ბარდება თამაშის შემდეგ სამუშაო დღეს

1.4.1 სტატ'სამსახურთან შეთანხმებით შეიძლება შევსებული ოქმის სქანის siebi@rugby.ge მეილზე გამოგზავნა და დგენილ ვადაში ოფისში მოტანამდე

2. თამაშამდე

2.0 თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე შევუდგე ოქმის შევსებას

2.1 პირველ გვერდზე ჩავწერო:



საქართველოს
რაგბის კავშირი

თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 6
ტელ 220 45 35 / 65, ფაქს 220 45 95, ელფიქსი @rugby.ge

კატეგორია თამაშის ოქმი №

შეჯიბრი: _____ გუნდი: _____

დღე: _____ რიცხვი: _____ თვე: _____ წელი: _____

ქალაქი: _____ სტადიონი: _____

დრო: _____ ამინდი: _____ მოედანი: _____

მასპინძელი: _____ სტუმარი: _____

ქულა

ხელმოწერა

ფუნქცია	სახელი	გვარი	ხელმოწერა
მსაჯი	_____	_____	_____
კიდის მსაჯი	_____	_____	_____
კიდის მსაჯი	_____	_____	_____
ექიმი	_____	_____	_____
მეთვალყურე	_____	_____	_____

2.1.1 შეჯიბრი | გუნდი

2.1.2 დღე | რიცხვი | თვე | წელი

2.1.3 მასპინძელი | სტუმარი

2.1.4 მსაჯი | კიდის მსაჯები | ექიმი | მეთვალყურე

2.2 ამის შედეგად ცარიელი დარჩება მხოლოდ

2.2.1 "ქულა" და

2.2.2 "ხელმოწერა" უჯრები

2.3 გადავფურცლო ბლანკი და შიდა მხარის შესავსებად მეტოქე გუნდების მენეჯერები ასე დავაკვლიანო:

მასპინძელი: _____

პოზ.	სახელი	გვარი	სბ	შეცვლა
1	ბოჯ	_____	_____	_____
2	ჭუტ	_____	_____	_____
3	ბოჯ	_____	_____	_____
4	ზაზ	_____	_____	_____
5	ზაზ	_____	_____	_____
6	ფოთ	_____	_____	_____
7	ფოთ	_____	_____	_____
8	ფ	_____	_____	_____
9	_____	_____	_____	_____
10	_____	_____	_____	_____
11	გარ	_____	_____	_____
12	მუტ	_____	_____	_____
13	მუტ	_____	_____	_____
14	გარ	_____	_____	_____
15	_____	_____	_____	_____
16	_____	_____	_____	_____
17	_____	_____	_____	_____
18	_____	_____	_____	_____
19	_____	_____	_____	_____
20	_____	_____	_____	_____
21	_____	_____	_____	_____
22	_____	_____	_____	_____
23	_____	_____	_____	_____
24	_____	_____	_____	_____
25	_____	_____	_____	_____
26	_____	_____	_____	_____
27	_____	_____	_____	_____
28	_____	_____	_____	_____
29	_____	_____	_____	_____
30	_____	_____	_____	_____
31	_____	_____	_____	_____
32	_____	_____	_____	_____
33	_____	_____	_____	_____
34	_____	_____	_____	_____
35	_____	_____	_____	_____
36	_____	_____	_____	_____
37	_____	_____	_____	_____
38	_____	_____	_____	_____
39	_____	_____	_____	_____
40	_____	_____	_____	_____
41	_____	_____	_____	_____
42	_____	_____	_____	_____
43	_____	_____	_____	_____
44	_____	_____	_____	_____
45	_____	_____	_____	_____
46	_____	_____	_____	_____
47	_____	_____	_____	_____
48	_____	_____	_____	_____
49	_____	_____	_____	_____
50	_____	_____	_____	_____
51	_____	_____	_____	_____
52	_____	_____	_____	_____
53	_____	_____	_____	_____
54	_____	_____	_____	_____
55	_____	_____	_____	_____
56	_____	_____	_____	_____
57	_____	_____	_____	_____
58	_____	_____	_____	_____
59	_____	_____	_____	_____
60	_____	_____	_____	_____
61	_____	_____	_____	_____
62	_____	_____	_____	_____
63	_____	_____	_____	_____
64	_____	_____	_____	_____
65	_____	_____	_____	_____
66	_____	_____	_____	_____
67	_____	_____	_____	_____
68	_____	_____	_____	_____
69	_____	_____	_____	_____
70	_____	_____	_____	_____
71	_____	_____	_____	_____
72	_____	_____	_____	_____
73	_____	_____	_____	_____
74	_____	_____	_____	_____
75	_____	_____	_____	_____
76	_____	_____	_____	_____
77	_____	_____	_____	_____
78	_____	_____	_____	_____
79	_____	_____	_____	_____
80	_____	_____	_____	_____
81	_____	_____	_____	_____
82	_____	_____	_____	_____
83	_____	_____	_____	_____
84	_____	_____	_____	_____
85	_____	_____	_____	_____
86	_____	_____	_____	_____
87	_____	_____	_____	_____
88	_____	_____	_____	_____
89	_____	_____	_____	_____
90	_____	_____	_____	_____
91	_____	_____	_____	_____
92	_____	_____	_____	_____
93	_____	_____	_____	_____
94	_____	_____	_____	_____
95	_____	_____	_____	_____
96	_____	_____	_____	_____
97	_____	_____	_____	_____
98	_____	_____	_____	_____
99	_____	_____	_____	_____
100	_____	_____	_____	_____

კაპიტნის პი
შეცვლის დრო

ხელმოწერა

2.3.1 თუ ვინაა მასპინძელი და ვინ – სტუმარი

2.3.2 რომ No გრაფაში – პოზიციათა მიხედვით – ჩამოწერონ ზურგის ნომრები

2.3.2.1 თუ გუნდს არ ყოფნის კვარტები | ერთი და იმავე ნომრიანი რამდენიმე აქვს – გამოვიყენო ინდექსაცია: მაგალითად 13¹, 13² ...

2.3.3 მოთამაშისა ჯერ დაწერონ სახელი და მერე გვარი

2.3.4 გუნდის სიაში შემოხაზონ კაპიტნის ნომერი – და არა პოზიცია!

2.3.5 ჩაწერონ მწვრთნელი ამ მატჩზე – და არა ზოგადად!

2.3.6 მეთვალყურის თვალწინ დასვან შევსების დრო და მოაწერონ ხელი

2.4 ამის შედეგად ბლანკის შიდა მხარის ნახევრებში ცარიელი დარჩება მხოლოდ

2.4.1 "სბ" გრაფა

2.4.2 "შეცვლა" ბლოკი

2.4.3 სარდაფი, სადაც აღინუსხება ბურთის გატანა

2.4.4 თაბახის შუაში კი – "ანგარიში" სვეტი

3. თამაშის დროს

3.0 თამაშის დროს უნდა აღნუსხოთ ყოველი მოვლენა – გამონაკლისების გარეშე!

შიდა გვერდებზე:

3.0.1 ბურთის გატანა

3.0.2 შეცვლა

3.0.3 სინზინი – ყვითლით გაგდება

ბოლო გვერდზე კი

3.0.4 გაძევება – წითლით გაგდება

3.1 ბურთის გატანა

3.1.0 მოვლენათა რიგით სათანადო უჯრაში წერეთ გამტანის ნომერს

3.1.1 ლელო და გარდასახვა იწერება მარცხნიდან მარჯვნივ ლ> | გ>

3.1.2 არეკნი და ჯარიმა – მარჯვნიდან მარცხნივ <ა | <ჯ

3.1.3 თუ დაიდო ძაან ბევრი ლელო – ჩაწერა უნდა გააგრძელოთ მომდევნო ორ სტრიქონში, რადგან მაგ დროს გავა ცოტა ჯარიმა | არეკნი

ლ>	7
ბ>	13

3.1.4 ახლებური – 7'ქულიანი "საჯარიმო ლელოს" აღსანუსხად უნდა შემოხაზოთ სათანადო ორი უჯრა და შიგ ირიბად ჩაწეროთ "7ქ"

3.1.5 თაბახის შუაში – გამონაკლისების გარეშე – უნდა წეროთ მიმდინარე ანგარიშები, ანუ "ამდენით ამდენი"; მაგალითად 3:0, 3:5, 10:5, 10:12, 13:12 –

3.1.5.1 და არა ნაზრდები, ანუ 3, 5, 7, 7, 3 ქულა – და ტაიმის ბოლოს'და ჯამით

3.1.6 სასურველია, დაელოდოთ გარდასახვას და მერეღა მიუმატოთ 5 ან 7 ქულა

ანგარიში		
3	:	0
3	:	5
10	:	5
10	:	12
13	:	12
—		
16	:	12
23	:	12
28	:	12
28	:	19
28	:	22
—		
—		

3.1.7 მაგ ნაკვეთშივე ორივე ტაიმის ბოლოს უნდა გაავლოთ მუქი ხაზი – ჯერ ერთმაგი, მერე ორმაგი, რათა დაფიქსირდეს ორივე ანგარიში და ველარავინ შეცვალოს

3.2 შეცვლა

3.2.0 "შეცვლა" ბლოკის სტრიქონებში – ზემოდან ქვემოთ – მოვლენათა რიგით წერეთ

3.2.1 მარცხნივ – გასულის ნომერს

3.2.2 მარჯვნივ – შესულის ნომერს

3.2.3 სისხლზე შეცვლას დაუსვით ჯვარი [+] და დაბრუნების ჩანაწერთან დააკავშირეთ ხაზით

3.2.4 "წადმა - უკუღმა" შეცვლის დროს [გაწირვა - დაბრუნება პირველ'ხაზელი სპეციალისტის შესაშვებად] სათანადო ორი ჩანაწერი დააკავშირეთ ხაზით

3.2.5 თუ გუნდმა მოითხოვა ცრუ შერკინება, მაშინ კაციც უნდა მოიკლოს: ამ დროს გასული არის სწორედ ეგ მოკლებული, შესულის უჯრა კი უნდა გადახაზოთ [X]

3.2.6 "შეცვლა" ბლოკის სტრიქონები განგებ ცდება გუნდის სიას – ნუ ეცდებით ვთქვათ და 9 ნომრის შეცვლის ჩაწერას მაინცდამაინც 9 ნომრის გასწვრივ: 3.2.0 მუხლის თანახმად, შეცვლები იწერება მოხდენის რიგით, ზემოდან ქვემოთ!

შეცვლა	
გვიდა	შევიდა
9	21
5	19
1	17
6	18
18	6
22+	9
9	22

3.3 სინზინი – ყვითლით გაგდება

3.3.0 სინზინთა აღსანუსხად გუნდის სიას მარჯვნივ დაჰყვება "სზ" გრაფა

3.3.1 ყვითლით გაგდების ჩასაწერად ეგ უჯრა უბრალოდ უნდა გადახაზოთ [X] – დიახ, გადახაზოთ და არ გამოიგონოთ ახალი აღნიშვნები: ჩიტი, წერტილი, "ყვ" და ა.შ.

3.3.2 ერთი და იმავე უჯრის მეორედ გადახაზვა არ მოგიწევთ – ორი სინზინი წითელია, ეგ კი ცალკე, ბოლო გვერდზე იწერება

3.4 გამეკება – წითლით გაგდება

3.4.0 იწერება ბოლო გვერდზე – და არა სინზინის გრაფაში!

3.4.1 გუნდის სამ'ასოიანი კოდისა [ბთმ | აია | ჯიქ | ლოკ | აკდ ...] და გაგდებულის ნომრის გარდა,

3.4.2 ეთითება მიზეზიც, რადგან საკითხი სადისციპლინო კომისიაში უნდა გაირჩეს

4. თამაშის შემდეგ

4.0 თამაშის შემდეგ ბოლომდე ივსება ჯერ ბოლო და მერე – პირველი გვერდები

4.1 ექიმთან თათბრით, სრულად და დეტალურად უნდა ჩამოიწეროს ტრავმები, რადგან ბიჭებს – დაზღვევის წყალობით – მკურნალობისას შეღავათი ერგებათ

4.2 მეტოქე მენეჯერებს უნდა ჰკითხოთ, შედეგის გასაჩივრებას თუ აპირებენ, და თუ ასეა – მოკლედ ჩააწერინოთ მიზეზი

4.3 თუ რამ შენიშვნა თავად გაქვთ – შეგიძლიათ ჩაწეროთ "მეთვალყურის დასკვნა"ში

4.4 ორივე გუნდის მენეჯერს ერთდროულად უნდა:

4.4.1 გამოუცხადოთ შედეგი

4.4.2 ჩაწეროთ ეგ საბოლოო ანგარიში პირველ გვერდზე "ქულა" სტრიქონში

4.4.3 და მანდვე ორივე მენეჯერს მოაწერინოთ ხელი

4.4.4 ოქმს პირველ გვერდზევე ხელი უნდა მოაწერონ მსაჯებმა, ექიმმა და თქვენც

4.5 აქედან 10 წუთში – ან შეთანხმებისამებრ, მოგვიანებით – სტატ'სამსახურს მობილურით 595 33 94 91 – უნდა აცნობოთ

4.5.1 გამარჯვებული | ფრე

4.5.2 ანგარიში

4.5.3 გაიცა თუ არა პრემია "სამით მეტი ლელოს გატანისთვის"

4.5.3.1 "რვაზე ნაკლებით წაგებაზე" ნუგეშის თქმა ზედმეტია – ისედაც ცხადია ანგარიშიდან!

...